# ოქმი N 10

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 26 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ზერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 22 ივნისის №03/2877 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 8**
**წინააღმდეგი - არც ერთი**
**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

## დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 22 ივნისის №03/2877 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ადგილსამყოფელის შეცვლასთან დაკავშირებით სამსახურის დებულებაში შედის ცვლილება, რომლის საფუძველზეც

მერიის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 8**

**წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

2. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ზერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 8 აგვისტოს მიღებულ იქნა N61 განკარგულება „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“. კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ცვლილება ხორციელდება კომისიის შემადგენლობაში. მესამე მოწვევის საკრებულოს წევრი ნუგზარ შუშანია გამოყვანილ იქნა კომისიის შემადგენლობიდან და მის ნაცვლად კომისიაში შეყვანილ იქნა დავით ზერაია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი კომისიის შემადგენლობა, ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 ივნისის №03/2915 წერილის შესაბამისად, რჩება უცვლელი.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის ინიცირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებებს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 8**

**წინააღმდეგი - არც ერთი**

**დაადგინეს:** განკარგულების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ინიცირების წესით განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ზერაია